31.5.1977 თბილისი

# საარბრიუკენელი სტუმრები

მჭიდრო კონტაქტი დამყარდა საქართველოსა და საარის მხარის დედაქალაქებს შორის. თბილისისა და საარბრიუკენის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები განიხილეს საუბრის დროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. თ. ლობჟანიძემ და რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსულმა საარბრიუკენის ობერბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტეინმა.

ეს ო. ლაფონტეინის პირველი ვიზიტი როდია თბილისში. მან აღნიშნა, რომ ღრმა კმაყოფილებას გრძნობს, როცა საქართველოს დედაქალაქში ჩამოდის, სადაც მას ბევრი მეგობარი ჰყავს. საარბრიუკენის საზოგადოებრიობა, თქვა მან, ცხოველ ინტერესს იჩენს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებისადმი.

საარბრიუკენის ობერ-ბურგომისტრს საუბარი ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

30 მაისს ო. ლაფონტეინი მეუღლითურთ ეწვია სამხატვრო აკადემიასა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. (საქინფორმი).

SOVLAB